



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030412476172514

№ 04-114/თ

22 / აპრილი / 2014 წ.

**სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო
პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14
აპრილის N291 დამტკიცებული “დღის ცენტრების ქვეპროგრამის“
ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე**

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილებით დამტკიცებული „დღის ცენტრების ქვეპროგრამის“ (დანართი 1.5) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/5 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილებით დამტკიცებული „დღის ცენტრების ქვეპროგრამის“ (დანართი N1.5) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად დამტკიცდეს:

ა) მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა ბენეფიციარის ან მისი კანონიერი წარმოდგენლის მიერ წარდგენილი ვაუჩერების შესახებ (დანართი 1);

ბ) დღის ცენტრის მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა მომსახურების მიღების წინა თვეში ბენეფიციარის მიერ შესაბამისი დღის ცენტრის მომსახურებით სარგებლობის შესახებ (დანართი 2).

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ფორმა (ორ ეგზემპლარად) და ვაუჩერის შესაბამისი თვის ტალონები მიმწოდებლის მიერ წარდგენილი უნდა იქნეს სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში, შესაბამის წერილობით მიმართვასთან ერთად, არაუგვიანეს მომსახურების მიწოდების ყოველი თვის 15 რიცხვის ჩათვლით; აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენს სააგენტოს ცენტრალურ აპარატში შესაბამისი მომწოდებლისთვის მიმდინარე თვეში ვაუჩერით დაფინანსებული მომსახურების ჯამურად გადასარიცხი თანხის გამოთვლის საფუძველს.

2.1 სააგენტოს ტერიტორიული ერთეული ვალდებულია, უზრუნველყოს:

ა) “დანართი 1”-ით წარმოდგენილი ინფორმაციის და ვაუჩერის შესაბამისი ტალონების შედარება, ინფორმაციის მიღების და სრულყოფილების ხელმოწერით დადასტურება; (დოკუმენტის ერთი ეგზემპლარი ინახება სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში, ხოლო მეორე უბრუნდება მომსახურების მომწოდებელს);

ბ) ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღის ვადაში ვაუჩერის შესაბამისი თვის ტალონების ასახვა ელექტრონულ პროგრამაში “CHILD”;

გ) წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ტალონების დაცულობა არანაკლებ სახელმწიფო პროგრამის მოქმედების პერიოდის შემდგომი ექვსი წლის განმავლობაში;

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ფორმით მიმწოდებლებისაგან მიღებული ინფორმაცია შეიცავს ბენეფიციარის მიერ წინა მომსახურების თვეში შესაბამისი დღის ცენტრის მომსახურებით სარგებლობის მონაცემებს, რაც დადასტურებული უნდა იყოს ბენეფიციარის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის ხელმოწერით (ქმედუწარმო ბენეფიციარის შემთხვევაში – მისი კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით). მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი, დათარიღებული და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტი, შესაბამის წერილობით მიმართვასთან ერთად, წარდგენილ უნდა იქნეს სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში არაუგვიანეს შემდგომი მომსახურების თვის 15 რიცხვის ჩათვლით. აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს მიმწოდებლისთვის ამავე თვეში გადასახდელი თანხის წინა თვის ფაქტიური მომსახურების შესაბამისად კორექტირების საფუძველს.

3.1 სააგენტოს ტერიტორიული ერთეული ვალდებულია, უზრუნველყოს:

ა) “დანართი 1”-ის დაცულობა ტერიტორიული ერთეულის მიერ, ხოლო “დანართი 2”-ით წარმოდგენილი ინფორმაციის დაუყოვნებელი გადაგზავნა სააგენტოს ცენტრალურ აპარატში, ელექტრონული ფორმით დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (დეს) საშუალებით;

ბ) წარმოდგენილი დოკუმენტაციის პირველი პირების დაცულობა, არანაკლებ სახელმწიფო პროგრამის მოქმედების პერიოდის შემდგომი ექვსი წლის განმავლობაში.

4. სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის სოციალური პროგრამების სამმართველომ (ვ. გაზდელიანი) უზრუნველყოს სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულებისათვის საჭირო ინფორმაციისა და განმარტებების მიწოდება ამ ბრძანებასა და “დღის ცენტრების ქვეპროგრამის” ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე.

5. სააგენტოს ტერიტორიულმა ერთეულებმა უზრუნველყონ მომსახურების მომწოდებელ ორგანიზაციათა ინფორმირება და საჭირო განმარტებების მიწოდება ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ფორმების და ინფორმაციის მოწოდების პირობების თაობაზე;

6. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და ამავე ბრძანებით დამტკიცებული ფორმების განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე: ssa.gov.ge.

7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სააგენტოს დირექტორის მოადგილეს ზ. სოფრომაძეს.

8. ეს ბრძანება, შესაბამისი დანართებით, ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

9. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 29 აპრილის N04-223/ო ბრძანება “დღის ცენტრების ქვეპროგრამის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე” (შესაბამის დანართებით).

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნოე ქინქლაძე

— — — — —

სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამა

დღის ცენტრების ქვეპროგრამა

ინფორმაცია მომსახურების მომწოდებელ ორგანიზაციაში წარდგენილი ვაუჩერების შესახებ

მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის დასახელება _____

დღის ცენტრის მისამართი _____

კოდი CHILD ბაზაში - - - -

ვაუჩერის მოქმედების თვე -----

ინფორმაციის წარმოდგენის თარიღი _____

	ვაუჩერის ნომერი	გვარი	სახელი	დაბადების თარიღი	პირადი N
1	2	3	4	5	6
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					

მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაცია

სააგენტოს ტერიტორიული ერთეული

ხელისმოწერა ----- ბ.ა.

ხელისმოწერა ----- თარიღი

სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამა

დღის ცენტრების ქვეპროგრამა

ინფორმაცია ბენეფიციართა მომსახურებით სარგებლობის შესახებ

მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის დასახელება _____

დღის ცენტრის მისამართი _____

კოდი CHILD ბაზაში – – – –

საანგარიშო პერიოდი _____

(თვე)

ინფორმაციის წარმოდგენის თარიღი _____

N	ინფორმაცია ბენეფიციარის შესახებ			თვის განმავლობაში გატარებული დღეების რაოდენობა	ბენეფიციარის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერა
	გვარი	სახელი	პირადი N		
1	2	3	4	5	6
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					

ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი ----- ხელისმოწერა -----

თარიღი -----

ბ.ა.